პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2022 წლის _ _ თებერვალი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის III– IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2021 წლის III–IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2021 წლის III– IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის III– IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — არჩილ ღიბრაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

6

წერილის ნომერი: **48-4822046188**
თარიღი: **15/02/2022**
პინი: **4699**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ანგარიშს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაოების შესახებ.

დანართი-10- ფურცელი

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

1.შესავალი

შიდა აუდიტის არსია, დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებასა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ. შიდა აუდიტი აფასებს და აუმჯობესებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სიტემას, რისკების მართვის ეფექტიანობას, რაც შესაბამისად აუმჯობესებს დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას.

შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება. შიდა აუდიტის საქმიანობა მოიცავს დაწესებულების მთელი რიგი აქტივობებისა და პროცესების შეფასების სხვადასხვა სფეროს, რათა უზრუნველყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესაბამისობა მიზნებთან, წესებთან და სტანდარტებთან და, ასევე, გონივრულ ფინანსური მართვის პრინციპებთან.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესის მიზნების მიღწევაში და საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკის და ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობს რისკის გამოვლენას და რისკების შეფასებას, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემების დახვეწას ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად, კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესწავლას და მათი უწყვეტი განვითარების ხელშეწყობას.

შიდა აუდიტის მიზნებია:

- სტრატეგიული და წლიური გეგმების მომზადება რისკების შეფასების საფუძველზე, რომელთაც შეუძლიათ საფრთხის ქვეშ დააყენონ დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასება და შესწავლა ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით დაწესებულების წინაშე არსებული ამოცანების შესასრულებლად;

- ხელმძღვანელობის ინფორმირება მიგნებების და დასკვნების შესახებ და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

დაწესებულების შიგნით არსებული ყველა სისტემა, პროცესი, მოვლენა და საქმიანობა შეიძლება წარმოადგენდეს შიდა აუდიტორული შემოწმების საგანს. შიდა აუდიტი ასევე წარმოადგენს დამოუკიდებელ და ობიექტურ მარწმუნებელ მომსახურებას, რომელიც ხელმძღვანელობას ეხმარება დაწესებულების წინაშე არსებული რისკების მართვაში, შიდა კონტროლისა და მმართველობითი პროცედურების გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინერგება ახალი სისტემები და პროცედურები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების და წყალტუბოს მუნიციპლიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსს, შიდა აუდიტის სტანდარტებს.

სტანდარტები მოითხოვს აუდიტორების მიერ ეთიკის კოდექსის დაცვას, აუდიტის დაგეგმვას და წარმართვას იმგვარად, რომ აუდიტორული შემოწმების შედეგად დადგინდეს შეესაბამება თუ არა ორგანიზაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედ კანონმდებლობას.

სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება, შემოწმებული ობიექტების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწავლა - ანალიზი და მათი თავიდან აცილების გზების განსაზღვრა.

შიდა აუდიტის სამსახური, სამსახურეობრივ უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობას ახორციელებს მერის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმების შესაბამისად.

2. მოკლე მიმოხილვა

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში განხორციელდა ორი შიდა აუდიტორული შემოწმება (შესაბამისობის და ეფექტიანობის),შიდა აუდიტორული შემოწმება (შესაბამისობის და ეფექტიანობის) ჩაუტარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს:

- ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვა"
- ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"

აღნიშნული ობიექტების შემოწმების შედეგად მომზადდა შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტები.

3. განხორციელებული ღონისძიებები:

- შიდა აუდიტის ობიექტი - (ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

ა(ა)იპ **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“-ს** ჩაუტარდა შესაბამისობის აუდიტი, რომლის მიზანია დაწესებულების საქმიანობის პოლიტიკასთან, გეგმებთან, პროცედურებთან, კანონებსა და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება.

აუდიტორული შემოწმება მოიცვა 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

აუდიტის მნიშვნელოვანი მიგნებები

- ✓ „ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი - გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია-შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით და შესაბამისად წლიური შესრულება არის ხარვეზების შემცველი და არ შეესაბამება ხაზინის ამონაწერს.
- ✓ შრომის ანაზღაურების გაცემის პროცესი ხასიათდება გარკვეული ხარვეზებით, გვხვდება შრომის ანაზღაურების თანხის არასწორად დაანგარიშების და ჩარიცხვის შემთხვევები.
- ✓ ,,ცენტრი“ არ აწარმოებდა ბუღალტრულ აღრიცხვას.
- ✓ ,,ცენტრის“ მიერ 2020 წლის განმავლობაში დაგვიანებით, არასწორად ან საერთოდ არ არის წარდგენილი გადასახადის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაცია, კერძოდ: 2020 წლის აპრილის, ივნისის და ივლისის თვეების დეკლარაციები წარდგენილია დაგვიანებით და არასწორად, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრისა და დეკემბრის თვეების დეკლარაციები წარდგენილია არასწორად. თებერვლის, მარტის, მაისის და ნოემბრის თვეების დეკლარაციები საერთოდ არ არის წარდგენილი.
- ✓ ,,ცენტრში“ ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.
- ✓ ,,ცენტრი“-ს არ აქვს დადგენილი თუ რა რაოდენობის საწვავს მოიხმარს ყოველ 100 კმ-ზე ან/და ერთი მუშა-საათის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალება შემდეგი სახელმწიფო ნომრით OXO-221. 2. სატრანსპორტო საშუალებაზე სახელმწიფო ნომრით OXO-221 აუდიტის ობიექტი არ აწარმოებდა ავტოსატრანსპორტო საგზაო ბარათებს, არ ხორციელდებოდა განვლილი მანძილის (ოდომეტრის მაჩვენებლები) აღრიცხვა და საწვავის ჩამოწერა გარბენილი კილომეტრაჟის ან/და ნამუშევარი საათების მიხედვით, აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დგინდება თუ სად, კონკრეტულად რა სამუშაოსთვის გაიხარჯა საწვავი. 3. 2020 წლის აპრილისა და ივნისის თვეებში დაფიქსირდა საწვავის ჩასხმის მაჩვენებლები (210 ლიტრი და 217 ლიტრი), რომელიც აღემატება დაწესებულ ლიმიტს.
- ✓ ,,ცენტრის“ 2020 წლის შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებული არაა შესაბამისი დოკუმენტით, თუმცა იგი რეგისტრირებულია Eplan მოდულში.
- ✓ შესამოწმებელ პერიოდში ,,ცენტრი“ არ ახორციელებდა ბაზრის კვლევის პროცესის სათანადო დოკუმენტირებას, აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა ღონისძიებები იქნა გამოყენებული პოტენციური მიმწოდებლების

გამოვლენისა და ორგანიზაციისთვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებისთვის, აგრეთვე რამდენად სრულყოფილად და კვალიფიციურად განხორციელდა შესყიდვის ობიექტების ღირებულების დადგენა.

- ✓ გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებებში (CMR200046061; CMR200046046; CMR200048239; CMR200062824; CMR200070857; CMR200077352; CMR200084822; CMR200088911; CMR200096600; CMR200096689; CMR200103654; CMR200106364) არაა განსაზღვრული შესყიდვის ობიექტების ტექნიკური პარამეტრები, რაოდენობა და ერთეულის ფასი. აღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს იმის რისკი, რომ განხორციელებული შესყიდვის შედეგად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ვერ მიიღოს სასურველი შედეგი და გასწიოს არარაციონალური ხარჯი.
- ✓ ზოგიერთ ხელშეკრულებაში (მაგალითად, CMR200006399; CMR200112439) გათვალისწინებული არ არის პირგასამტეხლო. ზოგადად, პირგასამტეხლოს დაკისრებით ხდება მხარის დანაკარგების კომპენსირება, რასაც ამ შემთხვევაში შემსყიდველი ვერ გამოიყენებდა.
- ✓ CMR200006959; CMR200046046; გამარტივებული შესყიდვების შესაბამისი ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული და მინიჭებული არ აქვთ შესაბამისი სტატუსი.

  CMR200062831 გამარტივებული შესყიდვის შესაბამისი ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. CMR200046061; CMR200062831; CMR200064617; CMR200070857; CMR200077352; CMR200084822; CMR200088911; CMR200096600; CMR200096689 CMR200096661; CMR200112439 გამარტივებული შესყიდვების შესაბამისი ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ატვირთული არაა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, მაგრამ ხელშეკრულებას მინიჭებული აქვს სტატუსი- „შესრულებული ხელშეკრულება“ .
- ✓ CMR200006959; CMR200006399; CMR200046046; CMR200046061; CMR200048239; CMR200062824; CMR200062831; CMR200064617; CMR200070857, CMR200077352; CMR200083657; CMR200084822 CMR200088911; CMR200096600; CMR200096661; CMR200096689; CMR200103654; CMR200106364; CMR200112439; შესყიდვების განხორციელებისას მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირ(ებ)ის, აგრეთვე შესაბამისი ხელშეკრულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირ(ებ)ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული არ არის.

გამოვლენილი ხარვეზების (მიგნებების) აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციები:

- ✓ ,,ცენტრმა“ შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურისთვის ფინანსური

ინფორმაციის სწორად წარდგენას, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და ხაზინის ამონაწერის შესაბამისად.

- ✓ ,,ცენტრმა" შეიმუშაოს და დანერგოს შესაბამისი მექანიზმები გადარიცხული თანხების კონტროლისთვის, აგრეთვე შრომის ანაზღაურების პროცესის სწორად წარმართვისა და ადმინისტრირებისთვის.
- ✓ ,,ცენტრმა" უზრუნველყოს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
- ✓ ,,ცენტრმა" შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საგადასახადო ორგანოსთვის დეკლარაციის წარდგენას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
- ✓ ,,ცენტრმა" უზრუნველყოს ინვენტარიზაციის ჩატარება ყოველწლიურად „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
- ✓ ,,ცენტრმა" უნდა დაადგინოს თუ რა რაოდენობის საწვავს მოიხმარს ყოველ 100 კმ-ზე ან/და ერთი მუშა-საათის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალება შემდეგი სახელმწიფო ნომრით OXO-221. პრაქტიკაში უნდა დაინერგოს საწვავის ხარჯვის ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალების ან/და სპეც.ტექნიკის მიერ განვლილი მანძილის ან/და ნამუშევარი საათების ზუსტ აღრიცხვას, საწვავის ჩამოწერას გარბენილი კილომეტრაჟის ან/და ნამუშევარი საათების მიხედვით. აგრეთვე გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში მიეთითოს თუ სად, კონკრეტულად რა სამუშაოსთვის გაიხარჯა საწვავი.
- ✓ ,,ცენტრმა" განსაზღვროს შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და კონტროლის მექანიზმების გაძლიერების საშუალებით, უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.
- ✓ საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით შესყიდვები განხორციელდეს ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად. კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის მოხდეს ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირება და მისი სისტემატიზებული არქივაცია.
- ✓ პრაქტიკაში უნდა დაინერგოს კონტროლის ქმედითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოების სათანადოდ წარმართვას და ხელშეკრულებებში ტექნიკური, რაოდენობრივი და ფინანსური პარამეტრების სრულყოფილად განსაზღვრას.
- ✓ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში სასურველია აუდიტის ობიექტმა გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციასა და დანაკარგების კომპენსირებას. საჯარიმო სანქციის დაწესება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის დაცვით, იგი უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული.
- ✓ გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ამ ხელშეკრულების ცვლილების (მათ

შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტი რეგისტრირდება CMR-ში, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთოს ხელშეკრულების შესრულების /შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აისახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიენიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“).

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირ(ებ)ის, აგრეთვე ხელშეკრულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირ(ებ)ის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

- **შიდა აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა კონტროლის დეპარტამენტისა (ჰარმონიზაციის ცენტრი) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის ერთობლივი მხარდაჭერით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საპილოტე პროგრამით განხორციელდა ეფექტიანობის აუდიტი. რისკ-ფაქტორების შეფასების საფუძველზე აუდიტის ობიექტად შერჩეული იქნა ქვეპროგრამა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი.“

ეფექტიანობის აუდიტი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც მიზნად ისახავს შეაფასოს კონკრეტულ ორგანიზაციაზე/პროგრამაზე მიმართული სახსრებით რამდენად იქნა მიღწეული პროგრამის დასახული მიზნები და აგრეთვე განსაზღვროს რამდენად გონივრული ქმედებებით იქნა მიღწეული აღნიშნული შედეგი და შესაძლებელი იყო თუ არა სახსრების უფრო ეკონომიურად/პროდუქტიულად გამოყენება.

აუდიტის პროცესში განხორციელდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა მონიტორინგის კომისიის და სხვა ჩართული მხარეების მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესწავლა/ანალიზი.

აუდიტორული შემოწმება მოიცვა 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

აუდიტის მნიშვნელოვანი მიგნებები

- ✓ ბენეფიციართა პერსონალური ინფორმაციის, კერძოდ, სოციალურად დაუცველის სტატუსის ცვლილების, შეჩერებისა თუ გაუქმების შესახებ ინფორმაციის განახლება არ ხდება, ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ხორციელდება მხოლოდ ბენეფიციარად რეგისტრაციის დროს.
- ✓ ქვეპროგრამის ბენეფიციარები ხდებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა აღემატება დადგენილ კრიტერიუმს 120000-ს, აგრეთვე ის მოქალაქეები, რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული არ არიან, მაგრამ მათი შემოსავალია ნაკლებია საარსებო მინიმუმზე და ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დამოუკიდებლად უზრუნველყონ მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილი არ არის თუ რა კრიტერიუმებით უნდა განხორციელდეს აღნიშნული პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება. არ ხორციელდება აღნიშნული პირების ეკონომიკური მდგომარეობის და საცხოვრებელი პირობების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენა.
- ✓ ქვეპროგრამის ეფექტიანობის გაზომვისა და მისი შედეგების შეფასებისთვის შემუშავებული არ არის შესაბამისი ინდიკატორები, პრაქტიკაში არ არის დანერგილი ისეთი პროცესები და აქტივობები, რომლითაც განხორციელდებოდა ქვეპროგრამის მიმდინარე და საბოლოო შედეგების კონტროლი, ანალიზი და შეფასება.
- ✓ ქვეპროგრამის მიმდინარეობაზე მუნიციპალიტეტის მხრიდან მონიტორინგის განმახორციელებელი პირი/კომისია/ სტრუქტურული ერთეული განსაზღვრული არ არის და შესაბამისად, არ ხორციელდება ბენეფიციარებისთვის გაწეული მომსახურების მონიტორინგი და მისი ხარისხის შეფასება.
- ✓ მენიუთი განსაზღვრული დღიური საკვების კალორიულობა 1359- დან 1588- კკალორიამდე მერყეობს, აღნიშნული მაჩვენებელი ჩამორჩება აუდიტის ჯგუფის მიერ საუკეთესო პრაქტიკის მქონედ შერჩეული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს მიერ ბენეფიციართათვის შეთავაზებული დღიური საკვების კალორიულობას, რომელიც 1518-დან

1825-კკალორიამდე ვარირებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დღიური ნორმები მოზრდილი მოსახლეობისათვის განსხვავებულია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და აღნიშნული მაჩვენებელი ქალებისთვის 1720 დან 2000 - კალორიამდე მერყეობს, ხოლო კაცებისთვის 2030 დან 2550-კკალორიამდე. მენიუ არ არის მორგებული სხვადასხვა კვებითი საჭიროების მქონე პირებზე.

- ✓ არსებული აქტივობები და პროცესები ვერ უზრუნველყოფს კვებითი მომსახურების თანაბარ ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას და ყველა პოტენციური ბენეფიციარისთვის მომსახურების მიწოდებას. ვინაიდან ბენეფიციარების კვებით უზრუნველყოფა ხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე სასადილოში და ,,შინ მიტანის" სერვისითაც მხოლოდ ქალაქში და ცენტრთან ახლოს მდებარე სოფლებში მცხოვრებ პირებს ემსახურებიან, ქვეპროგრამის ბენეფიციარების აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს ქალაქის მოსახლეობა, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში სერვისის მიწოდება არ ხორციელდება.
- ✓ გამოვლენილი ხარვეზების (მიგნებების) აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციები:

- ✓ გადამუშავდეს/განახლდეს ქვეპროგრამის ბენეფიციარების შერჩევის წესი და განისაზღვროს ადეკვატური კრიტერიუმები, რომლითაც კომისია განახორციელებს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას.
- ✓ გადამუშავდეს/განახლდეს ქვეპროგრამის ბენეფიციარების შერჩევის წესი და განისაზღვროს ბენეფიციართა აღრიცხვის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომლის საშუალებითაც ავტომატურად ან პერიოდულად განხორციელდება ბენეფიციართა პერსონალური ინფორმაციის, კერძოდ, სოციალურად დაუცველის სტატუსის ცვლილების, შეჩერებისა თუ გაუქმების, გარდაცვალების, აგრეთვე მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ასახვა და განახლება.
- ✓ ა(ი)პის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა საქმიანობის შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, განსაზღვრონ გაზომვადი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდება ა(ი)პის საქმიანობის შედეგების შეფასება და ქვეპროგრამის ფარგლებში დახარჯული თანხების ეფექტიანობის შესწავლა.
- ✓ ქვეპროგრამით გათვალისწინებული შედეგების ეფექტიანად მიღწევისთვის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სათანადო კონტროლი დაწესდეს ა(ი)პის საქმიანობაზე,

ჩატარდეს ქვეპროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი, სხვა დანარჩენთან ერთად აღნიშნულის ფარგლებში უნდა განისაზღვროს მონიტორინგის შედეგების ანგარიშგების პერიოდულობა, ფორმატი და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეული. მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ობიექტურობის პრინციპის დაცვით და აღნიშნულ პროცესში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობა.

- ✓ ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშაონ პროცესები, მეთოდები, კრიტერიუმები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ბენეფიციარების მოთხოვნილებებზე მაქსიმალურად მორგებული საკვების მენიუს შედგენა, სხვადასხვა კვებითი საჭიროების მქონე პირების ინტერესების გათვალისწინების, მენიუს პერიოდული გამრავალფეროვნების და მისი კალორიულობის გაუმჯობესების შესაძლებლობების შეფასება.
- ✓ მიზანშეწონილია, ბენეფიციართათვის ქვეპროგრამის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობების მქონე პირები არ დადგნენ შიმშილის საფრთხის წინაშე ან /და განიხილონ მათთვის დახმარების გაწევის ალტერნატიული შესაძლებლობები. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების შესწავლა და მათგან კარგი პრაქტიკების გადმოღება.

შიდა აუდიტის ადამიანური რესურსის ანალიზი; კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები.

შიდა აუდიტისა და მონიტორრინგის სამსახურში დასაქმებულია 5 საჯარო მოსამსახურე. სამსახურის სტრუქტურა შედგება სამსახურის უფროსის და 4 უფროსი სპეციალისტისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის სამასახურის თანამშრომლების უწყვეტი პროფესიული განვითარება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამისი გადამზადების ორგანიზებით, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობას იღებენ ჰარმონიზაციის ცენტრის, სსიპ საჯარო აუდიტის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში.

ჰარმონიზაციის ცენტრთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში სამსახური დეტალურ ინფორმაციას იღებს საქართველოში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებისა და ამ სფეროში მიმდინარე რეფორმების თაობაზე.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის

სამსახურის უფროსი: /მ. თედორაძე/

№7

221274546

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის III– IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2021 წლის III–IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2021 წლის III– IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის III– IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

წერილის ნომერი:**49-49220481**
თარიღი: **17/02/2022**

ადრესატი:

არჩილი ღიბრაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ არჩილ ღიბრაძეს

ბატონო არჩილ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 15 თებერვლის N48-4822046188 წერილის საფუძველზე მოვამზადე განკარგულების პროექტი - ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის III– IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ", რომელსაც წარმოგიდგენთ კომისიის სხდომაზე განხილვის მიზნით.

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-აპარატის უფროსი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2022 წლის 24 თებერვლის კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, შესაბამის განკარგულების პროექტთან ერთად, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
არჩილ ღიბრაძე